პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 22 თებერვალი 1978 წ. № 45 (17089) ფასი 2 კაპ.

# ყოველი დღე — დამკვრელური!

### ხარისხის ნიშნით

**ბათუმი. (საკ. კორ.).** ბათუმის წავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ შარშან გეგმის გადამეტებით 1,3 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მთავარი წარმატება მაინც ის არის, რომ მთელი პროდუქციის 47 პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდიოდა.

ახლახან ქარხანაში სასიხარულო ცნობა მოვიდა. მათ კიდევ ორ პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა. ახლა ამ მთელი პროდუქციის 55 პროცენტი ხარისხის ნიშნით გამოდის, რითაც კოლექტივმა მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებულ მიზნას მიაღწია.

### შრომის ავანგარდში

**ორჯონიკიძე. (საკ. კორ.).** ბეგერი საქმარი სიტყვა თქმულა მარელისელ მეავეჯთა შემართებაზე, ნახელავის მაღალ ხარისხზე. მათ დამკვრელურად დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი. იანვარში მომხმარებელს გაეგზავნა 40.370 ცალი სკამი, რაც მნიშვნელოვნად მეტია დავალებაზე, დიდი გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის გეგმა. ყოველი მუშის მიერ ერთ თვეში წარმოებულია 557 მანეთის პროდუქცია, რითაც მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდა 2,6 პროცენტით. ფაბრიკაში რამდენიმე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა. მათ შორის ყოველთვის მოწინავენი არიან ამწყობ-გამლაქავი საამქროს ახალგაზრდები, რომელთა ხელმძღვანელი გოდერძი მაღრაძე საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატი იყო. ექვსი წლის წინთ დამთავრა მან საშუალო სკოლა, მხედრული ვალი მოიხადა საშობლოს წინაშე და შემდეგ მეავეჯთა კოლექტივის სახელოვანი წევრი გახდა. სკკპ XXV ყრილობის დღეებში საწარმოში გოდერძის თაოსნობით შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთაგან ერთს თვითონ ჩაუდგა სათავეში.

### სამათასიანთა კლუბი

**აბაშა. (საკ. კორ.).** შარშან რაიონის მეცხოველეებმა თითოეულ ძროხაზე 1.959 კილოგრამი რძე მიიღეს. მაგრამ არიან მოწინავენი, რომლებმაც ერთ ძროხაზე საშუალოდ 3.000 კილოგრამი, და ზოგმა უფრო მეტი რძე მიიღო. გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქციამ განიზრახა შექმნას „სამათასიანმწველოვთა კლუბი“. მოწინავეთა გამოცდილებას ფართო პროპაგანდას უწევს გაზეთი.

ჯერჯერობით სამათასიანთა კლუბის წევრები არიან სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავები ვ. ლიფარელიშვილი, ნ. ჯანჯღავა და შ. კუპუხიძე, ტყვიერელი მ. ფიფია.

# მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლი

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოვდა — ერამარტო ფრონტელების, არამედ მთელი ჩვენი ხალხის კმაყოფილება გამოიწვია.**

**ყველა საბჭოთა ადამიანს, მისი ცხოვრება მიაჩნია პარტიისა და ხალხის საქმისადმი უანგარო სამსახურის შესანიშნავ ნიმუშად.**

**ის** ამბავი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოვდა, ჩვენ ყველას განსაკუთრებულ სიამაყეს აღგვძრავს.

მე, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს, კარგად მახსოვს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან სასტიკი ბრძოლების დღეები. ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. და რაოდენ დიდ ძალასა და ღონეს, ენერგიას ახმარს იგი მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დედაბოძის — ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს ღირსეულ ჯილდოს, სულით და გულით ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

**ს. შიუკაშვილი,**
**მე-3 ხარისხის დიდების ორდენის კავალერი; თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწე.**

# მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარების

**21 თებერვალს** კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **დ. თ. უსტინოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **გ. მ. კორნიეცკი,** საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი:**

სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჰაფეზ ასადი,** არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ჰ. ჰადამი,** არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის წევრი **ი. ასადი,** არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის წევრი **ნ. ჰასუნი.**

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა საფუძვლიანი და კონსტრუქციული აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების საკითხებზე. აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა ვითარდება იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოსკოვში 1974 წლის 13 აპრილს უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგად მიღებულ ერთობლივ საბჭოთა კავშირ-სირიის განცხადებაში. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ განცხადებას საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელიც ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოსაფხვრელად არაბ ხალხთა სამართლიანი ბრძოლის საქმისათვის.

უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოვლენათა განვითარებას ახლო აღმოსავლეთის რაიონში, სადაც იმპერიალისტური ძალებისა და ადგილობრივი რეაქციის მოქმედების შედეგად მდგომარეობა სერიოზულად გართულდა. ეგვიპტისა და ისრაელის სეპარატულ გარიგებათა პოლიტიკა, რომელმაც უკვე მთლიანად ცხადყო თავისი ამოუბა და უსაფუძვლობა და სერიოზულად აკნო არაბ ხალხთა ინტერესებს, დამაჯერებლად მოწმობს, რომ საჭიროა გამოიძებნოს სამართლიან საფუძველზე ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ყოვლისმომცველი მოწესრიგების გზები. (საკდესი).

სურათზე: მოლაპარაკების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

## საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა

# პარტიის მოწოდებით, გულის კარნახით

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, 17-18 თებერვალს გაიმართა საქართველოს ალკკ XXXI ყრილობა. დღეს ვაქვეყნებთ ყრილობის მუშაობის დაწვრილებით ანგარიშს.**

**საანგარიშო** მოხსენებაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ ყრილობის დელეგატებსა და რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რესპუბლიკის კომკავშირის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის, რაც აღნიშნულია მის მისალმებაში კომკავშირის XXXI ყრილობისადმი.

საბჭოთა საქართველოს 70-იანი წლების კომკავშირული თაობა, აღნიშნა ამხ. შარტავამ, აღუფამს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომკავშირის მთელი ახალგაზრდობის სულისკვეთება კვლავაც გაყოფელი ნაწილი იქნება რეოლუციური თაობების მებრძოლი სულისკვეთებისა, რისი საუკეთესო ნიმუშიც არის საქართველოს კომპარტიის დღევანდელი სულისკვეთება, რომ კვლავაც ბრძოლისა და აღმასვლის გზებით, გამარჯვებების გზებით, მშრომელ კაცს, პატიოსნად მოღვაწე კაცს სიკეთისათვის მოღვაწეობის გზებით ივლის, კვლავაც კომკავშირული სიხალისითა და შემარუბით, კომუნისტური გზებით იბრძოლებს კომუნისტური მომავლისათვის!

სწორედ ასეთი განწყობილებით და მადლიერების გრძნობით მივმართავთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის მებრძოლ და წარმმართველ ბირთვს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირველად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!

კეთხულობ ლეონიდ ილიას ძის სულ ახლახან გამოქვეყნებულ მონგონებას „მცირე მიწა“ და ერთხელ კიდევ გრძნობ, რომ ჩვენს პარტიას, ჩვენს ქვეყანას სათავეში უდგას კაცი, რომელიც სასხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანია საბჭოთა ხალხისა, ადამიანი — ლენინელი, მებრძოლი, პოლიტიკოსი, ადამიანი — მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ადამიანი — ახალგაზრდობაზე, კომკავშირზე უსაზღვროდ შეყვარებული, ადამიანი — მეგობარი, ჰუმანისტი. პიროვნება, რომელიც თავისი ფიზიკური ცხოვრებით საბჭოთა საქართველოსთანაც, მის შვილებთანაც არის დაკავშირებული, და ამ კავშირს ყოველთვის. დიდი სიბოთი და სიყვარულით, ხაზგასმით აღნიშნავს. ჩვენ შუდამ ვგრძნობთ ლეონიდ ილიას ძის, ყურადღებასა და მზრუნველობას ჩვენი რესპუბლიკისადმი, მისი ახალგაზრდობისადმი. ამ მაგალითზე და საუბრიდან ჩვენ ვგრძნობთ იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას, რომლითაც იგი განმსჭვალულია ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყოველი კუთხისადმი.

მომხსენებელი ყრილობის სახელით, საქართველოს ახალგაზრდობის სახელით დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმთელობას უხურვებს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ღირსეულ მეთაურს.

საქართველოს კომკავშირის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, აღნიშნა მომხსენებელმა, წარიმართებოდა რესპუბლიკის კომკავშირის XXX ყრილობის მიერ მოცემული სამი ძირითადი გაწყესის შესრულების ნიშნით:

**პირველი,** მიეღწია ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის რადიკალური გაუმჯობესებისათვის იმ ზიანის გათვალისწინებით, რომელიც ახალგაზრდობის განწყობილებას, ახალგაზრდობის ზნეობას მიაყენა ახლო წარსულში რესპუბლიკაში გამეფებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა;

**მეორე,** მიეღწია ჭაბუკებისა და ქალაშვილების კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მათი ასაკობრივი, სოციალური, პროფესიული თავისებურებების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომით როგორც ახალგაზრდობის ცალკეული კატეგორიების და ჯგუფებისადმი, ისე პრობლემებისა და გადასაწყვეტი საკითხებისადმი;

**მესამე,** მიეღწია ყოველი კომკავშირული რგოლის, ყოველი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის მკვეთრი ამაღლებისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის ახალგაზრდებმა საანგარიშო პერიოდში სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ყოველი მეორე წევრი (საერთო შემადგენლობის 54 პროცენტი) აქტიურად მონაწილეობს ეფექტიანობისა და ხარისხისთვის საბჭოთა ახალგაზრდობის მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც ჩვენი ქვეყნის მოწინავე კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად არის საქართველოს კომკავშირი.

ახალგაზრდობის ძალებით 1977 წელს 1974 წელთან შედარებით გამოშვებულია დაახლოებით 10-12 პროცენტით მეტი ქსოვილი და მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ორჯერ და მეტად გაიზარდა ახალგაზრდობის მონაწილეობა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებაში, ახალი ტექნიკური ხაზების ათვისებასა და ტექნიკის სიახლეთა დანერგვაში, დღეს სოფლად ახალგაზრდობის მიერ მზადდება დაახლოებით 25-30 პროცენტით მეტი ჩაი, 10 პროცენტით მეტი ყურძენი, 12-14 პროცენტით მეტი ხილი, 15 პროცენტით მეტი ბოსტნეული, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა პროდუქტები, ვიდრე ეს იყო 1974 წელს. ზრდის ეს მაჩვენებლები ოთხჯერ და მეტად აღემატება თვით ამ დარგებში ახალგაზრდობის ხვედრითი წილის მატების ტემპს, ესე იგი მაღლდება ეფექტიანობა, მაღლდება სოციალისტური შრომის ხარისხი.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტი ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმეში გახდა სკკპ XXV ყრილობის მითითება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოთ „კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით“. და იქ, სადაც განუხრელად ხორციელდება პარტიის ეს მითითება, შედეგებიც ახალგაზრდობის მთელი აღზრდის საქმეში თვალსაჩინოა.

თანამედროვე ახალგაზრდობის დამახასიათებელი ნიშნებს შორის, თქვა ამხ. შარტავამ, განსაკუთრებით იგრძნობა ზოგადი განათლების მაღალი დონე და მზადრდი ინტელექტი. მრავალმხრივია მისი სულიერი ინტერესები. ჩვენს რესპუბლიკაში კომკავშირელთა 65 პროცენტს საშუალო, არასრული უმაღლესი ან უმაღლესი განათლება აქვს.

საანგარიშო პერიოდში შვიდჯერ და მეტად შემცირდა იმ ახალგაზრდათა რიცხვი, რომლებიც გაერთიანებული არ იყვნენ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების არც ერთ ფორმაში. ამჟამად ყოველი 100 ახალგაზრდიდან ასეთი სწავლების გარეშე დარჩენილია მხოლოდ 3-4, ესე იგი პრაქტიკულად ხორციელდება ახალგაზრდა თაობის საყოველთაო პოლიტიკური სწავლება.

ფართო გაქანება მოიპოვა თანამედროვეობის ისეთმა შესანიშნავმა, მხოლოდ საბჭოთა ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელმა მოძრაობამ, როგორიც არის დამრიგებლობა. ორმოცზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა მოკალაქეობრივი წრთობის სკოლა ჩვენი ყრილობის დელეგატის, თბილისელი გვირაბგამყვანის მირაან კიკოლაშვილის ბრიგადის შემადგენლობაში. ფაქტიურად, ბრიგადაში ათი წლის მანძილზე რამდენიმე თაობა შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა მთავარი — კოლექტივის სოციალური ფუნქცია, მისი პოლიტიკური სულისკვეთება და ჯანსაღი აღმრდელობითი ატმოსფერო, ბრიგადის კოლექტიური პორტრეტი, მისი კოლექტიური პოლიტიკური სახე და მოწოდება.

სწორედ ასეთ ადამიანებს ძალუძთ ყველაზე კარგად აშენონ კომუნისტური საზოგადოება. სწორედ ასეთ ადამიანებს ძალუძთ ჩვენი ხალხის საბრძოლო ამოცანების ideologიური უზრუნველყოფა. ამოცანების ideologიური უზრუნველყოფა კი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამ საქმეში აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ideologიური ზემოქმედების, ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, კომკავშირული პოლიტსწავლების, ეკონომიკური განათლების მთელი სისტემა, ლექციური პროპაგანდა, საგაზეთიკიო-მასობრივი მუშაობა, თვალსაჩინო აგიტაცია, პოლიტიკური პლაკატი, პოლიტიკური გამოფენა, პოლიტიკური ფილმი, განსაკუთრებით კი მაბობრივი ინფორმაციის საშუალებები — რადიო, ტელევიზია, პრესა.

რესპუბლიკის კომკავშირის XXXI ყრილობისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე მეცნიერებმა, კომკავშირულმა მუშაკებმა, ყრილობის დელეგატებმა დააყენეს საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში ახლგაზრდობის პრობლემების კვლევის მკვეთრი გაუმჯობესების შესახებ. რესპუბლიკაში ახალგაზრდობის პრობლემების კვლევას უნდა ეწეოდეს მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, ლაბორატორია, კათედრა, ინსტიტუტი. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ეს საქმიანობა ჯერ მოკლებული იქნება სისტემატურ კოორდინაციას, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან უკვე ორ წელზე მეტია საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს ახალგაზრდობის პრობლემების ინსტიტუტი, რომელმაც ამ შედარებით მცირე დროში საინტერესო და სასარგებლო ნაბიჯები კადადგა. ამ საზოგადოებრივი ინსტიტუტის მაგალითზე დავრწმუნდით, რომ საჭიროა შეიქმნას ახალგაზრდობის პრობლემებზე მომუშავე რესპუბლიკური საზოგადოება, ასეთი პრობლემების კვლევის მაკოორდინირებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით, ასე ვთქვათ, ადამიანთმცოდნეობის ინსტიტუტით.

შეეხო რა ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის პრობლემებს, მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრობლემებს, რომელთა შორის უმთავრესია ზრუნვა პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისათვის, არჩეული პროფესიისადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობის ჩანერგვისათვის, ზრუნვა სამეურნეო ორგანოების მიერ ახალგაზრდა სპეციალისტთა შენარჩუნებისათვის.

დრო კომკავშირის კომიტეტების, კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მრავალ პრობლემას აყენებს, თქვა მომხსენებელმა. პარტიის მოწოდება — „უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის“ — სწორედ ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა, განსაკუთრებით იმ კომიტეტებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა საქმიანობაც მოკლებულია ქმედითობასა და კონკრეტულობას.

ეკონომიკურ პრობლემებში ჩაწვდომა, ისეთი საკითხებით დაინტერესება, როგორიც არის შრომითი რესურსები და საწარმოო რესურსები, საწარმოთა განახლება და რეკონსტრუქცია, რიტმული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, საპროექტო სმძლავრეთა დროული და მაქსიმალური ათვისება, ბევრი კომკავშირელისათვის უცხო ანბანია.

და ეს მაშინ, როდესაც არსებული რესურსებისადმი, აგრეთვე უკვე წარმოებული მატერიალური დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო მეცხრე ხუთწლეულში დანაკარგების საერთო თანხამ 182 მილიონი მანეთი შეადგინა. მარტო ერთ, 1976 წელს ამ დანაკარგებმა 50 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

რესპუბლიკის მრეწველობის ახალგაზრდა მუშაკების მიერ ერთი წუთის დანაზოგი თვეს სამუშაო ადგილზე დაახლოებით 180-182 ათასი კაცდღის დანაზოგს უდრის, რაც ერთი ისეთი საწარმოს მთელი წლის მუშაობის ციკლის ტოლფასოვანია, როგორიც არის თანამედროვე მექანიკური ქარხანა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი სამუშაო წუთის დანაზოგი და ეკონომია ყოველ ახალგაზრდულ სამუშაო უბანზე რესპუბლიკისათვის დაახლოებით 2,3 მილიონი მანეთის ეკონომიკურ ეფექტს ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით მთავარი, რაც გვაქვია — ეს არის: კონკრეტული ეკონომიკური პრობლემებისადმი ღრმა და კომპეტენტური მიდგომა, მუშაობა ეკონომიკის ენით, მანეთის, ტონის, კილოგრამის კრიტერიუმით.

საქმე ეხება კომკავშირული მუშაკების, ჩვენი კომკავშირული აქტივის ეკონომიკურ განსწავლულობას. ეკონომიკის საფუძვლების ცოდნას და კომკავშირული მუშაობის საკითხების ცოდნის შერწყმას კომკავშირული ცხოვრების კანონებთან, და არა უმჯობესობის, ჭუსუურობის ისეთ სურათს, როგორიც ჩვენ წლების მანძილზე გვქონდა რუსთავის ლიტონონკონსტრუქციების ქარხანაში.

ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდან სისტემატურად ვერ ასრულებდა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, არ მიუღწევია შრომის ნაყოფიერების, მოგებისა და რენტაბელობის დაგეგმილი დონისათვის. საწარმო ახალგაზრდულია — აქ 370-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს. უფროს მეტიც, მისი შრომითი კოლექტივის საშუალო ასაკი 25 წელია. კომკავშირის კომიტეტი (კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. კოლკასაშვილი), კომკავშირული აქტივი კი ქარხანაში არსებული ნაკლოვანებების, ჩაჯარდნების, სირთულეებისა თუ პრობლემების შორიდან პასიური მაყურებლის როლში გამოდიოდნენ.

თუ როგორ შეიძლება პრობლემების, სირთულეების დაძლევა, ამ საქმის მთელი კოლექტივის საქმედ გადაქცევა, ამის საუკეთესო მაგალითია იქვე, მეზობელი საწარმო — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც რადიკალურად სულ სხვა სურათია. და ეს იმიტომ, რომ აქ მუშაობის მეთოდებიც რადიკალურად განსხვავებულია.

პრინციპულად სწორად მოიქცნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირები, როცა სოციალისტურ შეჯიბრებას: ეფექტებს ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნად დაუდეს დამრიგებელი კომუნისტების საყოველთაოდ ცნობილი თაოსნობა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვეყოფი“. ამრიგად, აქ ერთ მთლიანობაში მოქცეული აღმოჩნდა ორი მთავარი ინტერესი — ერთი მხრივ, საერთოდ სოციალისტური შეჯიბრების და, მეორე მხრივ, თვით საწარმოს, როგორც მოწინავე მიჯნებზე გასვლისათვის მებრძოლი ინდუსტრიული კოლექტივის, ეკონომიკური ინტერესები.

რესპუბლიკის მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობას გარკვეული წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში 250-დან 630 დასახელებამდე გაიზარდა, ხოლო მისი მოცულობა — 5,7 პროცენტამდე. ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოდის ქუთაისური ავტომობილი, გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ ჩარხები, ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათსაშენებელი ქარხნის მიწისაწოვი მანქანა, ბათუმური ტრანსფორმატორები.

პროდუქციის ხარისხის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა მუშაობის ხარისხის პრობლემაა, და აქედან საჭირო დასკვნების გამოტანა მართებთ ისეთ საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს, როგორიც არის სამეცნიერო-საწარმოო „გაერთიანება „ელვა“, თბილისის „საქსოფლმანქანის“ ქარხნის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, ცხინვალის ქარხანა „ელექტროგრძამანქანის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების კომკავშირული ორგანიზაციები, სადაც სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან არც ერთი სახეობის ნაწარმს არ უშვებენ.

ამ ერთი წლის წინათ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე, რომელიც სპეციალურად ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების როლისა და მონაწილეობის გაქტიურების პრობლემებს მიეძღვნა, მწვავედ დაისვა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით.

რა გაკეთდა განვლილი ერთი წლის მანძილზე? აღნიშნული დოკლადის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს ძირფესვიანი გარდატეხა შეეტანათ ხარისხის პრობლემებისადმი დამოკიდებულებაში: 1976 წელს სტანდარტების რესპუბლიკური სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ხარისხის სხვადასხვა დარღვევის გამო ეკონომიკური სანქცია დაედო სისტემის 19 საწარმოს 2,5 მილიონი მანეთის პროდუქციას. სისტემაში მომუშავე 30 ათასზე მეტ კომკავშირელსა და ახალგაზრდაზე მოდის წუნდებული პროდუქციის ერთი მესამედი. ათიდან ყოველ ერთ ახალგაზრდაზე მოდის წუნდებული პროდუქციის ერთი მესამედი. ათიდან ყოველი ერთი ახალგაზრდა მუშა ვერ ასრულებს გამოშვებაების ნორმებს (საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ მეტი), მარტო გასული წლის პირველ ნახევარში ახალგაზრდობაზე მოდის 14 ათასამდე გაცდენილი კაცდღე, რაც დაახლოებით მილიონ 120 ათასი მანეთის პროდუქციის დანაკლისს ნიშნავს.

ყოველივე ამაზე ხშირად კომკავშირის შესაბამისი კომიტეტები რეაგირებას არ ახდენენ.

რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობაში 300-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივია, მათგან მხოლოდ ყოველი მეოთხე მუშაობს ხარისხის გაჯეროლი ბრიგადების მეთოდით. ეს როგორი საშუალებები, როგორი კომკავშირული რეზერვები გვაქვს ხელიდან გაშვებული მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ყოველი ასეთი ეფექტიანი კონკრეტული შესაძლებლობა ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი ასევე ეფექტიანი კონკრეტული ღონისძიებებით. ეს პრაქტიკულად ეხება მთელ ჩვენს რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციას, რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობისწინა დღეებში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებმა დააყენეს საკითხი, რომ რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებმა შრომის კომიტეტთან ერთად სრულყონ წამყვანი პროფესიების კადრების ბალანსის შემუშავების სისტემა. ხუთწლიანი გეგმების, ყოველი მომდევნო სამეურნეო წლის ეგეგმების შედგენის და, მეტადრე, სოციალური განვითარების ღონისძიებების დამუშავებისას რაიონებმა, ქალაქებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საგეგმო ორგანოებმა ღრმად უნდა შეისწავლონ და გათვალისწინონ ახალგაზრდობის სურვილები და მოსაზრებები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში.

მრეწველობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის რაციონალიზატორი და გამომგონებელია დაახლოებით 1,5 პროცენტი (საკავშირო მაჩვენებელი 6-8 პროცენტი). მათი მონაწილეობაც კი სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში ყოველწლიურად სახელმწიფოს აძლევს 2-3 მილიონი მანეთის ეკონომიას. ესე იგი, თუ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საყოველთაო მასშტაბით გიმსჯელებთ, ეს კი თითოეულ რაციონალიზატორსა და გამომგონებელზე გაანგარიშებით საშუალოდ ყოველწლიურად 100 მანეთის ეკონომიკურ ეფექტს შეადგენს, — იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საერთო-საკავშირო დონის მიღწევის შემთხვევაში ჩვენი ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტი სულ ცოტა 10-12 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ყოველთვის სათანადო ეფექტიანობით ვერ ვნერგავთ და ვერ ვიყენებთ ახალგაზრდობის წინადადებებს. 1975 წელს ასე დაიკარგა 1450 რაციონალიზატორული წინადადება, ესე იგი ყოველი მეექვსე-მეშვიდე, პოტენციურად 2-2,5 მილიონ მანეთის ეკონომიკური ეფექტით.

ჩვენი ამოუწურავი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სიტყვა 25 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, ერთი მხრივ, როგორც შემოქმედებითს მუშაკს, სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე კომპეტენტურ პიროვნებას, და მეორე მხრივ, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდისტს შრომითს კოლექტივში, როგორც ახალგაზრდობის ფართო ფენების ტექნიკური შემოქმედების უნარიან ორგანიზატორს.

ამ საკითხებში რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სერიოზული ნაკლოვანებების ხაზგასმასთან ერთად მომხსენებელმა სთხოვა წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს აქტიურად ჩაიბან ახალგაზრდობა ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, გაუუმჯობესონ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი დახმარება, კერძოდ, ხელი შეუწყონ კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებს, გამჭოლი კომკავშირული ბრიგადების შექმნის.

ყრილობის ტრიბუნიდან ასეთი თხოვნის გამოთქმის აუცილებლობას, თქვა მან, გვკარნახებს ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის დამოკიდებულება კომკავშირული ცხოვრებისადმი, ისეთი პატივისცემა, როგორსაც იჩენს თ

# პარტიის მოწოდებით, გულის კარნახით

(გაგრძელება)

დაოსტატების პრობლემებისადმი უურადღების განსაკუთრებულად გამახვილების ამოცანას, ამასთან ერთად პროფილის მექანიზატორთა მომზადების ამოცანას. ამას მოითხოვს არა მარტო ტექნიკის განვითარება, ესი იგი ნებისმიერ მანქანა-იარაღზე მუშაობის ეოდნა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობის შემცირების აუცილებლობაც.

სოფლის ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი მექანიზატორთა კადრების მიგრაციის გამო სოფლად ყოველწლიურად უმოქმედოდ არის 3 ათასამდე ტრაქტორი, მთელი რაოდენობის თითქმის 13 პროცენტი.

ფართო პროფილის კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდის მეცხოველეობაც. 1976 წელს რესპუბლიკაში მომზადებული ყოველი 100 მექანიზატორიდან მხოლოდ 5-6 მეცხოველეობის სპეციალისტია.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრგან, ბევრი მეურნეობისათვის მეცხოველეობა წამგებიან დარგად რჩება. მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიზნით გამოყოფილი სახსრების ათვისება მომდინარეობს ნელი ტემპით. დაბალ დონეზე დგას სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და მეცხოველეობის დარგის ძირეული ორგანიზაციების თანამშრომლობა. ნელი ტემპით ხორციელდება შრომატევადი სამუშაო პროცესების მექანიზაცია. რესპუბლიკის 6 ათასზე მეტი მწველავდან თავის სამუშაოს მექანიზებულად ასრულებს მხოლოდ 4-5 პროცენტი. ეს საკითხები კომკავშირთან დაკავშირებული საკითხებია, განსაკუთრებით კი იმ თვალსაზრისით, რომ კომკავშირის კომიტეტების საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. ამიტომაც არის, რომ კომკავშირული ფენა ამ დარგში ნელი ტემპით იზრდება — 1975 წელს იყო 1,7 პროცენტი, 1977 წელს — 1,9.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირული საგზაო-ტრანსპორტო მეცხოველეობაში სამუშაოდ გიგზავნა დაახლოებით 7 ათასი ახალგაზრდა, მაგრამ, როგორც აქ მოყვანილი ციფრებიდან ცხადყოფს, კადრების დენადობა იმდენად დიდია, და ჩვენც იმდენად ეუდგა ჭმუშაობთ აღგილებზე მათი შენარჩუნების, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის, კულტურული შეფობის პროგრამის განხორციელებისათვის, რომ ამის პრაქტიკულად გაკეთება არ მოუხდენია მეცხოველეობაში კომკავშირულთა ჩვიდრითი წილის ზრდაზე.

საანგარიშო მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დეთმო ახალგაზრდობის მონაწილეობის გააქტიურებას რესპუბლიკაში ფართო ფრონტით გაშლილ ბრძოლაში ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

ჩვენ კომკავშირულ მუშაკთა და აქტივისტთა ახლანდელ თაობას, თქვა ამხ. შარტავამ, ფრიად ხელსაყრელ პირობებში გვიხდება მუშაობა, ახლა ფრიად ხელშეწყობა პოზიტიური ფონისა უკეთ მუშაობის, საქმეების უკეთ წარმართვის და, ესი იგი, უკეთესი შედეგების მიღწევისთვისაც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია ახალგაზრდობის ცალკეულ კატეგორიებთან, უფროსკლასელთა მეცხრეტხვან ჯგუფებთან, ცალკეულ ახალგაზრდებთან გაიმართოს დიალოგები, საუბრები, ერთი მხრივ, რესპუბლიკაში მიმდინარე მორალურ-ზნეობრივი გაჯანსაღების პროცესების შედეგებზე სერიოზული ძვრებისა და წარმატებების ჩვენებით და, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ არსებული სიძნელეების, სირთულეების, პრობლემების, გადაუწყვეტელი საკითხების, ნაკლოვანებების, ჩრდილოვანი მხარეების შესახებ დასაბუთებული, კომპეტენტური საუბრით, საგნობრივი განხილვითა და ანალიზით.

ეფიქრობთ, ასეთი დიალოგები, ასეთი შეხვედრები გარკვეულად შეიწყობს ხელს ყოველი ახალგაზრდა კაცის შეხედულებების ჩამოყალიბებას, მოთხოვნილებების, სულიერი სამყაროს, ინტელექტუალური ინტერესების ფორმირებას, ზნეობრივი საწყისის სწორად განვითარებას.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა კომკავშირული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში. დღეს საჭიროა ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ფართო გგებით, თქვა მან, ისეთი ინტერნაციონალიზმი და ისეთი პატრიოტიზმი, როგორიც ბაიკალ-ამურის მაგისტრალს აშენებს. ბამზე ჩვენი ქვეყნის 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები არიან, მათ შორის საქართველოს კომკავშირის ასზე მეტი წარგზავნილი.

„შესანიშნავი ბიჭები არიან ხალართველოდან, — გვწერს ერთ-ერთი სამშენებლო ობნის ოსტატი ა. მედვედეცკი, — კარგი ადამიანები, ამხანაგები, მეგობრები, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნენი. სწორედ ასეთი რუსების, ქართველების, აზერბაიჯანელების, უზბეკების, ასეთი ხალხის მარჯვენით შენდება ქვეყანა. უყურე ამ ბიჭებს და ფიქრობ — კარგ ხალხს ზრდის კომკავშირი. მარტო საქართველოს კი არა, ყველას შეგვიძლია ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც“.

ჩვენ გვეშინდება პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი ისეთი, რომელიც მტკიცე ერთიან ძალად ჩვენი ხალხის სიშშვიდის, მშვიდობის იმედად და რწმენად, მტრის რისხვად ჰკრავს საბჭოთა არმიას, წითელ არმიას — 60 წლის თუბელარს — ყოველი ახალგაზრდის მიერ სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე მოვალეობის პირნათლად მოხდის, რწმენისა და სიმტკიცის გამოცდის საუკეთესო სკოლას. და იმაზე, თუ როგორ ვამზადებთ ახალგაზრდებს ამ დიდი სკოლისათვის, დიდი გამოცდისათვის, იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ ამ დიდი სკოლის შესაძლებლობებს ჩვენი ხალხის კმირობის, შემარეთების, სახელოვან რევოლუციურ და საბრძოლო ტრადიციებზე აღზრდის საქმეში, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საზოგადოების ხვალინდელი დღე.

ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისადმი, მთელი აღმზრდელობითი საქმიანობისადმი კომპლექსური მიდგომა პირდაპირ და უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვართ დაუფლებული მუშაობის ლენინურ სტილს, როგორ გვესმის მუშაობის ლენინური სტილი კომკავშირში, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. შარტავამ. პირველი ყრილობის დროს, თითქმის ექვსი ათეული წლის წინათ, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლიანდა 2300 კაცს, დღეს მის რიგებში 700.000 წევრია.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის რიგების რაოდენობრივ ზრდას, მისი თვისებრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და რეგულირების საკითხებს. განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია 132 ათასი კაცით — 8,9 პროცენტით გაიზარდა.

გაუმჯობესდა კომკავშირის რიგების თვისებრივი შემადგენლობა: საქართველოს კომკავშირის ძირითად ბირთვს მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა შეადგენს. საანგარიშო პერიოდში მათი რიცხვი 50 ათასით გაიზარდა და ხვედრითმა წილმა 40,1 პროცენტს მიაღწია, რაც თითქმის 2 პროცენტით მეტია, ვიდრე 1974 წელს იყო. კომკავშირული ფენა მოსახლეობაში 1974 წლის 11,6 პროცენტიდან საანგარიშო პერიოდში 13,8 პროცენტამდე გაიზარდა.

მიმდინარე ეტაპზე მთელი ჩვენი კომკავშირულ-ორგანიზაციული მუშაობის თავისებურება ის არის, რომ წარმოების კონცენტრაციის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნის პროცესში იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ცენტრმა საამქროების, ბრიგადების, განყოფილებების ორგანიზაციებში, კომკავშირულ ჯგუფებში გადაინაცვლა.

ამის საუკეთესო მაგალითია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომკავშირული ჯგუფების და თელავის რაიონის ნაფარეულის და სანიორის მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების პატრიოტული თაოსნობა, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილს — „მზარი ვუსწოროთ კომუნისტებს!“.

და შეიძლება გადაუჭარბებლად თქვას — გადაძახილი მთელი ჩვენი ახალგაზრდობის, მისი ყველა ასაკობრივი ჯგუფის და სოციალური კატეგორიის სახელისა და ღირსების საქმედ გადაქცა.

საინტერესო გამოცდილება დაგროვდა საანგარიშო პერიოდის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების — კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლის დროს. კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლის პერიოდში თავისი კოლექტივის წინაშე ანგარიშით წარდგა 25 ათასზე მეტი კომკავშირელი, ანუ ყოველი მეორე, ვინც მეორადი გასუბრება გაიარა.

ენერგავდეთ მუშაობის ლენინურ სტილ კომკავშირში — ეს ნიშნავს ყველგან და ყველაფერში, ჩვენი კომკავშირული ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველ უბანზე ვქმნიდეთ ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფეროს, ბოლომდე მიგვყავდეს ყველა დაწყებული საქმე, ვებრძოლდეთ ფორმალიზმს, ვებრძოლდეთ ბიუროკრატიზმს — მის სიწყლისებს, საქმის გაჭიანურების, ქაღალდომანიის შემთხვევებს და ამაში ფართოდ ვიყენებდეთ ახალგაზრდობის მასობრივ კონტროლს, ქვემოდან კონტროლს.

კომკავშირული ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველ რგოლში საჭიროა ყოველმხრივ ვაღრმავებდეთ ჯანსაღ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყურადღებისა და რეაგირების გარეშე არ ვტოვებდეთ ჩვენი ახალგაზრდობის არც ერთ საქმიან შენიშვნას, არც ერთ წინადადებას, არც ერთ თხოვნას, ვავითარებდეთ, ახალი შინაარსით, ახალი ფორმებითა და შეთოდებით ვამდიდრებდეთ ჩვენს ერთობლივ მუშაობას პროფკავშირთან, სხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ უწყებებთან, ვიცავდეთ და ვაფართოებდეთ ჩვენი კავშირის ორგანიზაციულ საფუძველთა საფუძველს — დემოკრატიულ ცენტრალიზმს, აქტიურად ვმონაწილეობდეთ საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესებში, აქტიურად ვიყენებდეთ კონსტიტუციურ მონაპოვრებს, ლენინური კომკავშირისათვის მინიჭებულ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას.

ჩვენი კომკავშირული კადრები და აქტივი დღეს — ეს არის 1500 განთავისუფლებული კომკავშირული მუშაკი, რომელთა რაოდენობა ბოლო პერიოდში გაიზარდა 400 კაცით; ეს არის კომკავშირული აქტივისტების 150-ათასიანი არმია, 2100 უფროსი პიონერხელმძღვანელი, კომკავშირული ბოლტგანთლების ქსელის 7 ათასამდე პროპაგანდისტი.

ჩვენი აქტივი, ჩვენი საუკეთესო ადამიანები — ეს არის ის 63 ახალგაზრდა, მათ შორის 49 კომკავშირელი, რომლებიც საქართველოს ომაღლესი საბჭოს დეპუტატად არიან არჩეულნი; ეს არის ადგილობრივი საბჭოების 15 ათასზე მეტი ახალგაზრდა დეპუტატი, მათ შორის 9.780 კომკავშირელი.

ეს უზარმაზარი ძალაა, რომელსაც მთელი ახალგაზრდობა ენდობა, ახალგაზრდობა ბაძავს, ახალგაზრდობა სიტყვისა და საქმის მაგალითად მიიჩნევს.

საანგარიშო პერიოდში 600-ზე მეტი კომკავშირული მუშაკი დაწინაურდა პარტიულ, საბჭოთა თუ სამეურნეო სამუშაოზე, მათ შორის 4 ყოფილი კომკავშირული მუშაკი — პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, 12 პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად, 8 კომკავშირული მუშაკი გადაყვანილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

ეს დიდი ნდობა, კომკავშირული კადრების დიდი დაფასებაა. ამასთან ეს კიდევ უფრო ზრდის კომკავშირის, თითოეული კომკავშირელისა, ყოველმა ახალგაზრდამ ქალაქის წინაშე მდგომი აქტიურობა ამოცანების გადაწყვეტაში, ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამომუშავებაში, თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ამასთანავე პოზიტიური ძვრებისა და ბევრი მიღწევის მიუხედავად, თბილისის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, რომელსაც ვერ შევურიგდებით. კერძოდ, ორატორმა დასახელა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ დედაქალაქის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა, ქალაქის მშენებლობათა კომკავშირული ორგანიზაციები არ ეჩენენ სათანადო აქტიურობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდა მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, კიდევ უფრო ფართოდ მონაწილეობდეს ახალგაზრდობა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების საქმეში.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, რაიკომები, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, თქვა დასასრულ ორატორმა, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დედაქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მეტ წვლილი შეიტანოს სკკპ XXV ყრილობის, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში, ახალი დიდი მიღწევებით აღნიშნონ მომავალი სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობა და ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ფილია, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. ფატალაძე, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ფუხაევა, რომლებმაც ლაპარაკეს საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში მოპოვებულ მიღწევებზე, ბრძოლაზე, რომელიც ფართოდ გაჩაღდა შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, თქვეს, რომ ამაღლდა თითოეული ახალგაზრდის პასუხისმგებლობა მინდობილი სამუშაო უბნისათვის, გაიზარდა ყოველი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მებრძოლურობა, შეეხნენ კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ ალკკ XXX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესასრულებლად, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შრომებში, მოხსენებებსა და გამოსვლებში.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის კომკავშირელები და ახალგაზრდები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში. აფხაზეთის კომკავშირელებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლიდის სამი წლის გეგმა გაანაღდონ 29 ოქტომბრისათვის — ლენინური კომკავშირის დაბადების დღისათვის. აჭარელი კომკავშირელები და ახალგაზრდები მტკიცედ დაადგნენ იმ კურსს, რომ კიდევ უფრო გაზარდონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ციტრუსისა და თამბაქოს, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავლიანობა, გაადიდონ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ამ საქმეში მიღწეული კარგი მაჩვენებლებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკას გასული წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა. ჩვენ გვეამაყება, რომ მიღწეულ დროშა მიენიჭა. ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მომავალი სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისა და ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისათვის. მათ ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მოახსენეს, რომ საქართველოს კომკავშირის წინაა, XXX ყრილობაზე ისინი სახალხო მეურნეობაში კომკავშირელთა სუსტად ჩაბმის გამო გააკრიტიკეს, დღეს კი საოლქო კომკავშირული ორგანიზაციის ყველა წევრთა 51 პროცენტი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კომკავშირული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. ჟრუტო თანამიმდევრული და მიზანდასახული გახდა კომკავშირული ორგანიზაციათა საქმიანობა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ძალისხმევა. ამ ბრძოლაში ბრძოლა ეფექტიანობა ამაღლდა, ბრიგადა ეფექტიანობა ამაღლდა, ბრიგადა ეფექტიანობა ამაღლდა, ბრიგად

# პარტიის მოწოდებით, გულის კარნახით

(მაგრძელება)

ევმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთ-ერთ დიად მღწევეზე — ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობაზე. ჩვენი პრაქტიკული მუშაობით, თქვა მან, ყოველნაირად ვუმტკიცებთ თითოეულ კომკავშირელს, თითოეულ ახალგაზრდას ამის შეგნებას, რომ არის ერთიანი სოციალისტური სამშობლოს, ახალი საზოგადოების მშენებელთა დიადი ინტერნაციონალური ოჯახის წევრი.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ყურადღებას, მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც გვიწევენ ამა წლის 2 ივნიარს ჩვენს რაიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრისათვის. რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს ყველა რაიონიდან, საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოდან. არასოდეს არ დაიფიწყებენ სოფელ ბახჩალარის მოსწავლეები, ყველა მეცხოვრები, თუ როგორ მუშაობდნენ ყინვასა და სიცივეში გარიჟრაჟიდან გარიჟრაჟამდე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები, რათა ბავშვებს მალე დაეწყოთ სწავლა შეიფბის წესით მათ მიერ აშენებულ რვაწლიანი სკოლის დიდებულ შენობაში.

კომკავშირის რაიონული, საქალაქო კომიტეტების ბევრი ხელმძღვანელი რეკავს რაიონში, ჩამოდის, დახმარებას გვთავაზობს, მთელი რესპუბლიკისა და ქვეყნის პიონერთა რაზმები, ქალაშვილები და ჭაბუკები გვიგზავნიან წერილებს, ამანათებს, ზოგიერთი მათგანი დმანისელ თანატოლებსაც ეპატიჟება. ჩვენ დიდად ნასიამოვნება ვართ ამ ყურადღებით. მაგრამ ახლა, ოპერატიულად განხორციელებულ ღონისძიებათა წყალობით და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დიდი დახმარებით ცხოვრება რაიონში ნორმალიზებულია და ამ მიპატიჟებისათვის დიდად მადლობელი ვართ.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ აბაშის რაიონის წარმატებებზე, იმაზე, რაც აბაშაში მოხდა. კომკავშირის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ელეაძემ აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელთა მღწევებში კომკავშირელების, ახალგაზრდობის დიდი წვლილიც არის. ეს მღწევები იმ განყოფილებამ და ბრიგადამ ყურადღებამ და ზრუნვამ განაპირობა, რომელსაც ყოველდღიურად უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციას პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ბოლო წლების მანძილზე ახალქალაქის რაიონის ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საქმეში მომხდარ დიდ ძვრებზე ილაპარაკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა ხ. სტეფანიანმა. მაგრამ, აღნიშნა მან, ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხი და გამოუყენებელი რეზერვები გვაქვს. პრობლემად რჩება შრომისუნარიანი მოსახლეობის, კერძოდ, ახალგაზრდობის მიგრაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიდის ფულის საშოვნელად. საქმე ის არის, რომ ამ კატეგორიის ახალგაზრდები ვერ შეეგუენ შრომითს კოლექტივებს, კომკავშირულ ორგანიზაციათა მხედველობაშია არის ვარეთ დარჩნენ, თავის თავს ეკუთვნიან.

ამჟამად რაიონული პარტიული ორგანიზაცია ამუშავებს რაიონის შრომითი რეზერვების სწორად გამოყენების საკითხების მოწესრიგების სპეციალურ კომპლექსურ გეგმას, რომლის პრაქტიკული განხორციელება აღკვეთს მიგრაციის პროცესს. ამ დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციაც. იგი მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის შემდგომ სრულყოფაში ჩვენი საქმიანობის საპროგრამო დოკუმენტად უნდა გადაიქცეს. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა იმ მუშაობის ახალ საუკეთესო ფორმებზე, რომელსაც რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების შესანარჩუნებლად. კერძოდ, შექმნილია ახალგაზრდა მწველავთა კლუბი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი სათენიკ ჩიგჩიანი ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების შენარჩუნების საკითხი, სოფლის ახალგაზრდობის მიგრაციის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში. თქვა საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კაბიანმა. ამაზე, კერძოდ, ბევრჯერ გვილაპარაკია წინათ. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ პარტიისა და მთავრობის იმ დიდმა ზრუნვამ, რომელსაც ახლა უწევენ მაღალმთიან რაიონებს, უკვე გამოიღო დადებითი ნაყოფი. შევეხები ჩვენს რაიონს. ახლა, თუმცა უკვე ამენდა ახალი საავტომობილო გზა, რომლითაც უფრო ადვილია სოფლიდან წასვლა, ჩვენი ახალგაზრდობა მშობლიურ მთეებში დარჩენას ამჯობინებს.

ორატორმა რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით გულთბილი მადლობა ვადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას მაღალმთიანი რაიონის მშრომელთა ცხოვრებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის და აღუთქვა, რომ ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარებაში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამიერკავკასიის წყიფლდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ო. კულიშევის გამოსვლა.

ჩვენი ყრილობა, თქვა მან, მიმდინარეობს რესპუბლიკის მშრომელთა, ახალგაზრდობის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. რომელიც იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკამ დიდ გამარჯვებას მიაღწია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს კომკავშირმა, რესპუბლიკის მთელმა ახალგაზრდობამ, ქალაშვილებმა და ჭაბუკებმა. ნება მიბოძეთ, ამიერკავკასიის წყიფლდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს, პოლიტიკური სამმართველოს, ყველა მეომრის სახელით მხურვალედ და გულთბადად მოგილოცოთ რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას ეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ხალხი, არმიისა და ფლოტის მეომრები აღნიშნავენ ჩვენი ხალხის ცხოვრების კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავს. ღრმად სიმბოლურია, რომ ისტორიამ ერთმანეთის გვერდზე დააყენა დიდი ოქტომბერი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნის დღე და ლენინური კომკავშირის დაბადების დღე. ეს ისტორიული კანონზომიერებაა. დაბადების პირველი დღიდანვე წითელი არმია სოციალისტური სამშობლოს დასაცავად დადგა. მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ კომუნისტები და კომკავშირელები. ახალგაზრდა მებრძოლებს კომკავშირულ ბილეთებთან ერთად აძლევდნენ შაშხიებს და ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიდიოდნენ ახალი ნათელი ცხოვრებისათვის, სოციალიზმისათვის.

ორატორმა დაასახელა საბჭოთა ხალხის გამოჩენილი შვილები, რომლებიც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. სამშობლოს მუდამ ეხსომება მათი წმიდათაწმიდა სახელები.

ჩვენი არმია აღზრდილია სოციალისტური სამშობლოსადმი, მშვიდობისა და ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი, ხალხთა მეგობრობის იდეებისადმი უდიდესი ერთგულების სულისკვეთებით. ლენინური კომკავშირის დღევანდელი თაობა — ესენი არიან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, „ამის საავტომობილო ქარხნის მშენებლები, სტუდენტთა რაზმების მებრძოლები, საუკეთესო მეომრები — საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები. მათს საქმეებში ვხედავთ ჩვენი მამებისა და პაპების სახელოვან საქმეთა გაგრძელებას.

ჩვენ ყველამ უდიდესი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ საქართველოს წარმოძადგენელ ხუთწლედის 150 ახალგაზრდა გვარდიელს მიენიჭა დიდი პატივი — სურათი გადაიღონ ლეგენდარულ კრეისერ „ავროროზე“. თქვენი წარმატებანი ამიერკავკასიელ მეომრებს შთაგონებენ ახალ საბრძოლო საქმეებს და მხურვალე მისწრაფებას უკეთ შეასრულონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დამცველთა მოვალეობა.

არმიის ძალა — ეს არის მისი კავშირი ხალხთან. მინდა ვუსურვო კომკავშირის კომიტეტებს უფრო სგზობრივად მუშაობდნენ ახალგაზრდათა დაწყებითი სამხედრო მომზადების, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ღირსეული რეზერვის მოსამზადებლად დოსაავის სასწავლო ჯგუფების წრეებისა და კურსების დაკომპლექტების საკითხებზე. ამ მუშაობაში მთავარია კომუნიზმის საქმის საკეთილდღეოდ საგმირო საქმეებისათვის მზადყოფნის ჩანერგვა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებით გააქტიურა საქმიანობა რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა ჯგუფზე კომკავშირული გავლენის სფეროს თვისებრივი გაფრმავებისა და გაფართოებისათვის.

ეს მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. ამას წინათ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა, თუ როგორ ასრულებს ამ დადგენილებას საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია, და მოიწონა მისი მუშაობა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. მელაძემ, ახალგაზრდული თეატრი-სტუდიის „მეტეხის“ დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მრევლიშვილმა თავიანთ გამოსვლებში იღაპარაკეს იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან ახალგაზრდა შემოქმედებითს მუშაკებთან მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის. მაგრამ, აღნიშნეს მათ, ჯერ კიდევ დიდი და გულმოდგინე მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ წარმატებით დავაგვირგვინოთ კარგად დაწყებული საქმე, დავრაზმოთ ახალგაზრდა შემოქმედნი — მხატვრული და მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის, მაღალიდეური ნაწარმოებებისა და ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი ნაშრომების შექმნისათვის.

ჩვენი ეპოქა ეგშმარიტად შესანიშნავი ეპოქაა, თქვა ყრილობაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ, იგი შესანიშნავი და განსაცვიფრებელი როგორც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძალითა და მნიშვნელობით, ისე ჩვენს პლანეტაზე მომხდარი სოციალური ძვრებით.

მეათე კვირა მთავრდება, რაც იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო დედამიწის გარშემო დფრინავენ დედამიწის ფლოტილასთან ერთად ვიბრძვით, ჩვენი საერთო ნათელი ხვალინდელი დღეა. ჩვენ ყველას შესანიშნავად გვესმის, რომ დღეს ამ დარბაზში შეიკრიბა ახალგაზრდობა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის ასიათასობით ქალაშვილისა და ჭაბუკის სახელით პასუხისმგებლობა იკისრა მომავალი ოთხწლეულისათვის განსაზღვროს თავისი ადგილი პარტიის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ახლანდელი ყრილობა მიმდინარეობს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე პერიოდში, როცა უმაგალითო ენერგიით და პოლიტიკური ალმავლობის გზას ადგანან საბჭოთა ადამიანები და მონოლითურად არიან შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ახალგაზრდობის, დიდი მეგობრისა და მზრუნველი დამრიგებლის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

სამი თვის წინათ საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ადამიანმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის — XX საუკუნის იმ მთავარი მოვლენის მე-60 წლისთავი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა კაცობრიობის განვითარების მიმდინარეობა.

საბჭოეთში 60 წლის მანძილზე მომხდარ უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა კონცენტრირებული გამოხატულებაა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. მისმა მიღებამ დაამკვიდრა მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, საზოგადოებისა, რომლის მთავარი ნიშანი დემოკრატიის გამარჯვება, მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნამდვილი კოლექტიურობის საწყისების დამკვიდრება.

დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ქალაშვილები და ჭაბუკები დამოუკიდებელ ცხოვრებაა იწყებენ ახალი კონსტიტუციის ბზის ქვეშ, რომელიც უალრესად ხელსაყრელ ატმოსფეროს უქმნის მათ შემოქმედებითი ნიჭის, ტალანტის, მოწოდების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გამოვლენისათვის.

ორი თვის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საფუძვლიანად გააანალიზა ქვეყნის ეკონომიკის დგომარეობა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანები, განსაზღვრა უახლესი პეროიდის ეკონომიკური ტაქტიკა, ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობის უმნიშვნელოვნესი მიმართულებანი. პლენუმის გადაწყვეტილებებმა, შემდეგ კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის დიდი მოზღვავება გამოიწვია და გაუქლერა მათ მისწრაფება ახალი წარმატებებით აღნიშნონ მეათე ხუთწლედის დამკვრელური შრომის წელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა დასახა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული ამოცანები და გზები. როგორც იცით, მთავარი ყურადღება დაეთმო იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შინაგანი შესაძლებლობანი, მთელი არსებული რეზერვები, სრულვყოთ მეურნეობრიობის მექანიზმი. საბოლოო ანგარიშით, უმთავრესია ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შრომის ნაყოფიერების ზრდის შემდგომი დაჩქარების ობიექტური და სუბიექტური პირობების უფრო სრულად გამოყენების აუცილებლობა.

კომკავშირის ყრილობამ უნდა განსაზღვროს კომკავშირელების, ახალგაზრდობის მონაწილეობა ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში, თქვენი წვლილი რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოებისა და ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში. 1978 წელი ხომ განსაკუთრებული წელია; ეს არის ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის წელი, და დამკვრელური, თავდადებული შრომა საუკეთესო საჩუქარი იქნება ოუბილესთვის. როგორც უკვე აღინიშნა ყრილობაზე, სასიხარულოა, რომ ჩვენმა ქალაშვილებმა და ჭაბუკებმა, მთელმა ახალგაზრდულმა კოლექტივებმა, რომლებიც შრომითი ენთუზიაზმის მაგალითს გვიჩვენებენ, საყურადღებო თაოსნობანი გამოიჩინეს და გადადებული ვალდებულებანი იკისრეს. ისინი სამეურნეო ტრადიციებს განაგრძობენ და კომუნიზმის შენებელთა პირველ რიგებში დგანან.

შემდეგ ამხ. შევარდნაძე შეეხო რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანებს, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით. მან თქვა, რომ

**ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.**

**ახალგაზრდობასთან** შეხვედრა, თქვა ამხანაგმა შევარდნაძემ, მუდამ ამაღელვებელი და დიდად სასიხარულო მოვლენაა. ეს არის შეხვედრა არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღესთანაც, შეხვედრა მომავალთან, XXI საუკუნესთან.

ეს გაზეიადება არ გახლავთ. თქვენ, 70-იანი წლების კომკავშირელებო. საბჭოთა ახალგაზრდობის მეხუთე თაობა, წარმოადგენთ ხიდს დღევანდელობასა და ახალ საუკუნეს შორის.

მომავალი, რომლისთვისაც უფროსი თაობა იბრძოდა, — ეს ჩვენი აწმყოა, მომავალი, რომლისთვისაც ერთად ვიბრძვით, ჩვენი საერთო ნათელი ხვალინდელი დღეა. ჩვენ ყველას შესანიშნავად გვესმის, რომ დღეს ამ დარბაზში შეიკრიბა ახალგაზრდობა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის ასიათასობით ქალაშვილისა და ჭაბუკის სახელით პასუხისმგებლობა იკისრა მომავალი ოთხწლეულისთვის განსაზღვროს თავისი ადგილი პარტიის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ახლანდელი ყრილობა მიმდინარეობს ფართო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე პერიოდში, როცა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური ალმავლობის გზას ადგანან საბჭოთა ადამიანები და მონოლითურად არიან შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ახალგაზრდობის, დიდი მეგობრისა და მზრუნველი დამრიგებლის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

სამი თვის წინათ საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა ადამიანმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის — XX საუკუნის იმ მთავარი მოვლენის მე-60 წლისთავი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა კაცობრიობის განვითარების მიმდინარეობა.

საბჭოეთში 60 წლის მანძილზე მომხდარ უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა კონცენტრირებული გამოხატულებაა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. მისმა მიღებამ დაამკვიდრა მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, საზოგადოებისა, რომლის მთავარი ნიშანი დემოკრატიის გამარჯვება, მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნამდვილი კოლექტიურობის საწყისების დამკვიდრება.

დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ქალაშვილები და ჭაბუკები დამოუკიდებელ ცხოვრებაა იწყებენ ახალი კონსტიტუციის ბზის ქვეშ, რომელიც უალრესად ხელსაყრელ ატმოსფეროს უქმნის მათ შემოქმედებითი ნიჭის, ტალანტის, მოწოდების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის გამოვლენისათვის.

ჩვენს დროში რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის კომკავშირს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი კამის საატომობილო ქარხანამ და ბაიკალ-ამურის მაგისტრალმა — საუკუნის მშენებლობამ. ნია-გრუზინსკაია საბჭოთა საქართველოს კომკავშირის მოქალაქეობრივი და შრომითი გმირობის ხელქმნილ ძეგლად გადაიქცა. იქ, სადაც ლეგენდარული ციმბირელი პაპა — ნესტორ კალანდარიშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად იარაღით ხელში პარტიზანული ბილიკებით გვიკაფავდა მომავლის გზას, ახლა ახალგაზრდობის შრომითი დიდება ქუხს, ახალგაზრდობისა, რომელიც წინ მიდის რევოლუციის გზით და მტკიცედ კვალავს ნათელი მომავლის გზას, ეს არის ეპოქისა და თაობათა ცოცხალი კავშირი, ეს არის ჩვენი ინტერნაციონალური პატრიოტიზმი მოქმედებაში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თქვენ ხომ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო რევოლუციურ, საბრძოლო, შრომითს, ინტერნაციონალისტურ და პატრიოტულ ტრადიციებზე ხართ აღზრდილი და ამ ტრადიციებს ატარებთ, და თანამედროვე ცხოვრების ყოველივე საუკეთესო თვისებებით გამდიდრებულნი მზად ხართ ახალი, კიდევ უფრო თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

კომკავშირელთა მაღალი მზადყოფნა ურთულეს დავალებათა შესრულებისათვის დადასტურდა ჩვენს რესპუბლიკაში, როცა ბოლო ხანს საყოველთაო-სახალხო ბრძოლა გაიშალა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

მოდით, გავიხსენოთ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც 1973 წელს გაიმართა, რესპუბლიკის კომკავშირის წინა ყრილობა, გავიხსენოთ რა ამოცანები დასახა იქ, ახალგაზრდობის როგორ მონაწილეობას მოითხოვდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია წარსულის ნაკლოვანებების, შეცდომების, ნეგატიური მოვლენების დაძლევაში, და შევადაროთ ჩვენს დღევანდელ ამოცანებსა და მოთხოვნებს. განსხვავება ფრიად არსებითია. მაშინ დასახულ ამოცანათაგან მთავარი — რესპუბლიკის ყველა საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ახალგაზრდობის, კომკავშირელების ჩაბმა — წარმატებით სრულდება, და ჩვენ რეალურად ვვრქნობთ, რომ გაიზარდა კომკავშირულ ორგანიზაციათა როლი ეკონომიკის განმტკიცებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის კომკავშირის დღევანდელი ამოცანები — ეს არის საკმაოდ გამოწრთობილი, გამოცდილებით გამდიდრებული ატარები, და თანამედროვე ცხოვრების ყოველივე საუკეთესო თვისებებით გამდიდრებული მზად ხართ ახალი, კიდევ უფრო თვალსაჩინო მიღწევებისათვის.

კომკავშირის ამჟ. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა ზოგიერთი ძირითადი ნიშანი და ტენდენცია, რომლებიც ადასტურებს, რომ გაიზარდა კომკავშირის გავლენა ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროზე და ჯიძლეერდა მისი კავშირი პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რასაც თან სდევს პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს კომკავშირულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედების, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას. ამის მთავარი მიმართულებაა ძლიერ ჩონ კომკავშირულ მუშაობას ისეთი ხასიათი, რომ იგი უკეთ შეესაბამებოდეს ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს, რომ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს ბრმად კი არ ბაძავდეს კომკავშირი, არამედ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს იძენდეს, რომ ახალგაზრდა თაობა თავდადვნვ შეეჩვიოს ძიებასა და შემართებას.

დღეს კომკავშირის დამოუკიდებლობა ჯამოიხატება არა მარტო იმით, რომ სცემს საკუთარ გაზეთებსა და ჟურნალებს, აქვს თავისი ჯილდოები და პრემიები, კულტურულ- მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის სოლიდური მატერიალური ბაზა, არამედ იმითაც, რომ მინიჭებული აქვს დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა დარგში. ... ... ...

# პარტიის მოწოდებით, გულის კარნახით

(დასასრული)

სტუდენტის, განსაკუთრებით უფროსი კურსების სტუდენტების, საუკეთესო მონაწილეობას პრაქტიკულად სასარგებლო მეცნიერული თემების დამუშავებაში. კომკავშირს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ამ საკითხში, შეუძლია იკისროს და განახორციელოს დევიზი — „მეცნიერულ მიღწევათა დამუშავებასა და ნაერგვეას—კომკავმირული ბრეხვა, კომკავშირული კონტროლი“.

ახლა სამეცნიერო დაწესებულებათა კადრების პრობლემას შევეხები. ჩვენ გვყავს მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა დიდი არმია, გვაქვს არცთუ ცუდად აღჭურვილი და ორგანიზებული სამეცნიერო დაწესებულებები, გარკვეული მიღწევები, მაგრამ მსოფლიო და საკავშირო მეცნიერებაში ჩვენი მეცნიერების დღევანდელ პოზიციებს რომ ვუყურებთ იმ პოზიციებს, რომლებიც სამეცნიერო სკოლებს ეკავათ ახლო წარსულში, როცა ამ სკოლების ფუძემდებელნი და წამყვანი მეცნიერნი ცოცხრობდნენ და მეცნიერულ ღირებულებებს ქმნიდნენ, სინანულით უნდა ვალიაროთ, რომ შედარება ყოველთვის როდი მეტყველებს დღევანდელი დღის სასარგებლოდ.

როგორია უახლოესი პერსპექტივა? თავად განსაჯეთ, თუ ძალთებულად მივიჩნევთ აზრს, რომ მეცნიერი 30-35 წლებისათვის ყალიბდება, მე კი ვფიქრობ, რომ ეს ძირითადად სწორია, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებისა და ზუსტ მეცნიერებათა დარგში, მაძიხ ფაქტები იმის ძეტყველებენ, რომ მიუხედავად ყოველგვარი სამეცნიერო ღიწესებულებებისა და ახალგაზრდა მეცნიერთანმშრომელთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდისა, მეცნიერებათა კანდიდატების რიცხვი პრაქტიკულად არ იზრდება. ჩვენ არა გვყავს 30 წლამდე ასაკის არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი და მხოლოდ 33 კანდიდატი გვყავს 28 წლამდე ასაკისა. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ 35 წლამდე ასაკის ასპირანტთა რიცხვი ჩვენში წლითიწლობით კლებულობს.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენი აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს, აგრეთვე დირექტორებსა და სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილეებს შორის ჩვენს სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში არც ერთი კაცი არ აოის 40 წლამდე ასაკისა, მაშინ, ვფიქრობ, გვაქვს ყველა საფუძველი შეშფოთებისათვის. ასეთი დგომარეობის მიზეზი ცოტა როდია, მაგრამ მთავარი, როგორც ჩანს, ის არის, რომ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა ნამდვილი პარტიული ბრეხვა ახალგაზრდა მეცნიერთა ზრდისათვის. როგორც ჩანს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, პარტიულ კომიტეტებს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მართებთ ღრმად გაერკვნენ ამ არასახარბიელო ტენდენციაში და შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ.

საჭიროა სწორად შეგახამოთ უფროსი თაობის მეცნიერთა გამოცდილება და ახალგაზრდა მეცნიერთა ენთუზიაზმი და ენერგია. ჩვენი დროის დიდი მეცნიერება უნდა იყოს ყველა თაობის ძეცნიერთა კოლექტიური ქმნილება.

შემდეგი საკითხი, რომელზეც მინდა ახალგაზრდობის ყურადღება მიგაპყრო, — ეს არის წარმოების ეფექტიანობის საკითხი, განსაკუთრებით პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემა. 1977 წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში ძაიღლი ეხადდებოდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მქონე 714 ღასახელების ნაწარმი. ეს დადებითი ძერაა, თუ შევადარებთ იმას, რაც რამდენიმე წლის წინათ აყო. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში, თუ საკითხს პრინციპული პარტიული პოზიციიდან მივუდგებთ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქა და წარმოების დაბალი ეფექტიანობა, პროდუქციის მდარე ხარისხი შეუთავსებელი ცნებებია. ეს ერთიმეორის გაძმრიცხველი პოლუსებია. ამ პრობლემის გადაჭრაში თავისი სიტყვა უნდა თქვას ახალგაზრდობამ.

შემდეგ ამხ. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში კაპიტალისტური ცხოვრეაის წესის გადაოხაძოეაის დაძლევისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან, და ამ დიდმნიშვნელოვანი, საარსებო ამოცანის გადაწყვეტაში უაღრესად აქტიური ძონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათ უფრო გაბედული, უკომპრომისო ბრძოლა უნდა გაეაყონ წარსულის ისეთი გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც არის მუქთახორობა, ლოთობა, ხულიგნობა, მომხვეჭელობა, დატაცება, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ბიუროკრატიზმი და უსულგულობა, რომლებიც თვით სოციალისტური წყობილების არსს ეწინააღმდეგება. ჩვენი სინამდვილის ამ ნეგატიურ მოვლენათა დაძლევა განუყოფელია სოციალისტური შეგნების და, რაც მთავარია, შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვისაგან.

უკვე დღეს მთელი რიგი შრომითი კოლექტივების სოციალისტური ცხოვრების წესში არის კომუნისტური ცხოვრების წესის ხიშნები, საწყისები. და კომუნისტური საწყისების ზრდა მიმდინეობს, უწინარეს ყოვლისა, შრომაში — ადამიანის ძირითადი სახეობის საქმიანობაში, რომელიც სოციალიზმმა არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

ამჟამად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის თითქძის 31 პოოცენტს შეადგენენ მუშები, რომლებიც მრომობენ მოყვანლობის, მშენებრობის, ტრანსპოორტის, კავშრგაბძულობის საწარმოებში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროძი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო ორგანიზაციებში.

დღეს კმაყოფილებით აღვნიშნავთ არა მარტო იმას, რომ დიდად გაიზარდა ახალგაზრდა მუშაათა ტექნიკური შემოქმედება, განათლება, არამედ იმასაც, რომ მათში ჯარმონიულად არის შეხამებული ადამიანის საუკეთესო თვისებები — პატრიოტიზმი, პოლიტიკური შეგნება, კოლექტივიზმის, სოციალისტური ჰუმანიზმის, ყველაფერში პირადი წესიერების გრძნობა. საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ის გახლავთ, რომ ეს თვისებანი ახალგაზრდა მუშებში სულ უფრო მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს, რომ ყოველი მათგანი სულ უფრო აქტიურად ახორციელებდეს პარტიის პოლიტიკას, მის დავალებებს ადექვამდეს როგორც პირად, ღვიძლ საქმეს.

ამ ბოლო წლების მანძილზე ორსებითი ძვრები მოხდა სოფლის ახალგაზრდობაშიც. მისი გონებრივი ჰორიზონტი, კულტურული დონე, სპეციალური ძოძხადება საშუალებას გვაძლევს გაეგიორციელოთ სულ უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. სოფლად საძრეწველო საწარმოთა ფილიალების გახსნა, სასოფლო-სამეურნეო შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, სოფლის რაიონების გადაქცევა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსებად თანდათან ძლის განსხვავებას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებს შრომელთა სოციალურ პორტრეტში.

სოფლის ახალგაზრდობა გარეგოსილი უნდა იყოს განსაკუთრებული პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ზრუნვით.

რთულია სოფლის ახალგაზრდობის სტრუქტურა: ეს არის ახალგაზრდა კოლმეურნე გლეხობა, ესენი არიან საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, მსხვილ სამრეწველო საწარმოთა სასოფლო და რაიონტრის ფილიალების, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების ახალგაზრდა მუშები, ეს არის სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია: ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, ექიმები...

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 110 ათასი ლენინური კომკავშირის წევრი. თანამედროოვე ახალგაზრდა სოფლის მშრომელი — ეს არის ინტელექტუალური შრომის განათლებული ადამიანი, რომელიც მთელ ძალღონეს და ცოდნას ახმარს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის, სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საყოველთაო-სახალხო საქმეს. ყოველ თქვენგანს კარგად ეხსომება, რა სიძნელეები შეგვექმნა შარშან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ამინდის პირველობის გამო და როგორ დაუპაოიპირეს ჩვენმა სოფლის მშრომელებმა უამინდობას ორგანიზებული, თავდადებული შრომა, რა მაქსიმალურად გამოიყენეს მთელი ძალები და საშუალებები, როგორ მიდიოდნენ მოსავლიანობისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები.

სოფლის ახალგაზრდობა, კომკავშირელები საქმით უპასუხებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მოწოდებას — გადაჯაქიოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად—და თავდადებით შრომობენ მეცხოველეობის ფერმებში, საკვებმომპოვებელ ბრიგადებში, რითაც ამტკიცებენ, რომ თავიანთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, რაიონის, თავიანთი რესპუბლიკის ნამდვილი პატრიოტები არიან.

რესპუბლიკის კომკავშირის ამოცანა კვლავაც ყოველნაირად უწყობდეს ხელს სოფლის ახალგაზრდობის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მისი პოლიტიკური თვალსაწიერის გაფართოებასა და კულტურული დონის ამაღლებას, უზრუნველყოფდეს, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდობა ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ ფართო სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის და კონცენტრაციის ამოცანების გადაწყვეტაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებებით ხელმძღვანელობს, ჩამოაყალიბა ამოცანა: ვიმუშაოთ და შევქმნათ საუკეთესო საკავშირო და მსოფლიო სტანდარტების შესაფერისი პროდუქცია. ეს გლობალური ამოცანაა და უკლებლივ ყველას გვეხება. მისი განხორციელებისათვის გმირულად შრომობენ რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, შემოქმედებითი, მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენცია და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებსაც ჩვენ მუდამ კომუნისტური მშენებლობის ყველაზე მოწინავე პოზიციებზე ვხედავთ ხოლმე.

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა პარტიის სავსებით რეალური მოთხოვნა, ცხოვრებისეული აუცილებლობაა. თუ ამ ამოცანას ვერ გადაეწყვეტთ, ჩვენ პროვინციად გადავიქცევთ. ჩვენ კი არ გვინდა პროვინცია ვიყოთ. ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ, ვიღვწოდეთ, ვაშენებდეთ და ვქმნიდეთ ისე, როგორც შეჰფერის ჩვენს საუკუნეს, საბჭოურ და მსოფლიო ეტალონებსა და სტანდარტებს. ასეთია ჩვენი ამოცანა!

რესპუბლიკის კომკავშირი თანამიმდევრულად და მიზანდასახულად აუბაობს შეძოქმედ ახალგაზრდობასთან, უნარიანად გვიზრდის ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, ლიტერატორსა და ხელოვნების ძოღვაწეებს, უნერგავს სოციალისტური რეალიზმის უარეგე ერთგულების სულისკვეთებას, იბრძვის იმისათვის, რომ ყოველ ნაწარმოებში დაადკვიდროს ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობისა და პარტიულობის, ხალხის ინტერესებისადმი აქტიური სამსახურის პრინციპი.

ეს მუშაობა კვლავაც ახალი ძალით უნდა განვაგრძოთ.

ჩვენ უკვე ვაისენეთ სიახლის, პროგრესულის აღდგა, მოწინავე, ნოვატორული შრომის მეთოდების დაუფლება, ყოველმხრივი გაძღიდრება მეცნიერული ცოდნით. ყოველივე ეს რეალურად ახასიათებს ახალგაზრდა თაობას. მაგრამ ძაინც არის რადაც უფრო ძნიშვნელოვანი და უფრო სეიოოსული. ეს გახლავთ ნამდვილი შემოქმედებითი ძუმაობის იდეური, ზნეობრივი, მსოფლმხედველობითი მოტივები. ეს გახლავთ ძოტივები, როდესაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი საზოგადოების იდეალებთან, ცნობილ ლენინურ თეზისთან — „ვისწავლოთ კომუნიზმი!“.

სპეტაკი მისწრაფებანი და ურყევი მრწამსი, გაძღებადობა და ძემაოთება, უკომპრომისობა და სულგრძელობა, საზოგადოების, კოლექტივის, საერთო საქმის ინტერესების უსაზღვრო ერთგულეაა, დროის გაძავალებული ძეგრძნება, მაოადიული სურაფვა სრულქმნილობისა, როგორც გარემო სამყაროს გამდიდრების, ფორმისადი, — აი, ასეთი იდეურ-ზნეობრივი ნიშნთვისებები, საკუთარ თავძი ძიზახდასახული გამოუმეაავება უდა ახასიათებდეს, უწინარეს ყოვლისა, კომკავშირელთა ახლადდელ თაობას.

1973 წლის რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრების შემდეგ, რომელმაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაოსბაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად თავისი, კომკავშირული პროგრამა ძიიღო და რესპუბლიკაში არსებული სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა დასახა, კარგა ხანი გავიდა. ეს საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ კომკავშირის იდეურ-ზნეობრივი, აღძრდელობითი მუშაობის ზოგიერთი შედეგი.

კომკავშირულ ორგანიზაციებში, კომკავშირის კომიტეტებში, ახალგაზრდობის ფართო ძასებში განხტაოცდა შეგნებული დისციპლინა, გაიზარდა საზოგადოებრივი აქტიურობა, უფრო მწვავე, გაჯაოებული და დაუფარავი გადა ნეგატიური მოვლენებისადმი დამოკიდებულება, გახმტკიცდა კომკავშირულ მუშაკთა ახალი კადრები, რომლებსაც ინიციატივანი, საქმის ძცოდნე, შეძოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდები შეემატნენ. ძოხდა სხვა მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებანიც.

მიუხედავად ამისა, ჩვენ კვლავ ვაწყდებით როგორც ცალკეული ახალგაზრდების მუქთახორობის, უქნარობის, ცხოვრებისადმი გამორჩენითი დამოკიდებულების ფაქტებს, ისე — ფორმალიზმის, უსულგულობის, ფარაზორობის გამოვლინებებს იმათ შორის, ვინც მოწოდებულია ახალგაზრდობის აღმზრდელი და წინამძღოლი იყოს.

ფორმალიზმი ჩვენი სერიოზული ტეერია. ამის შესახებ აქ ბევრი რამ ითქვა როგორც მოხსენებაში, ისე კამათის მონაწილეთა გამოსვლებში.

ფორმალისტის ფსიქოლოგია და ზნე ცნობილია: გარეგნულად ასეთი მუშაკის საქმიანობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა, არსებითად კი ყველაფერს შინაარსი აქვს გამოცლილი, სიცოცხლის ნიშაწყალი არ ეტყობა, ფორმას შინაარსი ეწრება.

ფორმალიზმი კარგად ეგუება მლიქნელობას, ამა თუ იმ ადამიანის მაცდურ ბუნებას. ფორმალიზმთან შერწყმული მლიქნელობა გონების დამაჩლუნგებელი ბანგია.

ძირს ფორმალიზმი! ძირს მლიქნელები! ბრძოლა გამოვუცხადოთ ყოველივე ცრუს, ანტიპოდურს, რაც შეუთავსებელია პატიოსანი და პრინციპული პიროვნების ცნებასთან, რაც უცხოა ჩვენი მორალის, მოქალაქეობრივ ობ ი ს, კლასობრიობისა და პარტიულობისათვის.

სახალხო მეურნეობისათვის კადრების აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შორის ამხ. შევარდნაძემ დაასახელა ის ამოცანა, რომ თითოეულ ახალგაზრდას ჩაეუნერგოთ მოქალაქეობრივი და პროფესიული მოვალეობის მაღალი შეგნება. ამის ერთ-ერთი კრიტერიუმია ის, რომ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი თვითონ ირჩევენ მომავალ სამუშაო ადგილს. ძაგრამ ვაი, რომ ეს არჩევანი ხშირად დღესაც არ შეესაბამება რესპუბლიკის მოთხოვნილებას. საქართველოს მთის და შორეულ რაიონებში კვლავ გვაკლია ექიმები, პედაგოგები, კულტურული ფერხტის მუშაკები. ეს ბარტოოდენ პროფესიული ვაკანსიები როდია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ზნეობრივად სათანადოდ არ არის აღზრდილი. აკლია პოლიტიკური ფრთხილა. ეს ძეორე და დამაფიქრებელი ფაქტებია, და ჩვენ პირდაპირ უნდა ეთქვათ, რომ ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობასთან ერთად სრულად უნდა გაიზიარონ აგრეთვე კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა.

მეორე მაგალითი გახლავთ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფრონტი. ამ სისტემის სრულყოფის მიზნით მიღებულია საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, კონტინგენტის თვისებრივი გაუჯობესებისათვის. ჩვენ ეკაც გვაქვს გარკვეული სასიკეთო ძვრები.

ამავე დროს ამხ. შევარდნაძემ აღნიშნა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანიც, რომელთა შედეგად დიდია კადრების დენადობა წარმოებაში. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა კი კომკავშირს, ჯერ კიდევ გვაკლია იმის ცოდნა, თუ როგორ წარმართოთ აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეებთან, წარმოების დამწყებ მუშაკებთან, რათა საქმითაც განამტკიცოთ ყველას შეგნებაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ობიექტურად მზარდი ავტორიტეტი, მისი ახალი ფართო შესაძლებლობანი.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჩვენში „მწიფდება“. მე მხედველობაში მაქვს არა ის სასარგებლო შინაგანი მომწიფება, რომელიც ბევრისათვის დღეს ჩვეულებრივიეა ადრე იწყება — ასეთია ეპოქა, — არამედ ის, რომ კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრება მეტისმეტად ჭარბად არის რეგლამენტირებული, ისინი ბრძად ბაძავენ „უფროსების“ მუშაობის მეთოდებს, არ იციან დროის მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენება. და თუ დღეს იმას უჩივიან, ჩვენი ბობოქარი საუკუნის პირობებში დრო არ გვყოფნისო, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვძლია სათანადოდ „შევამჭიდროვოთ“ დრო, განეტვირთოთ იგი მიმდინარე ნაკლებნიშვნელოვანი საქმეებისაგან, მოვიცალოთ შემოქმედებისათვის, და, რაღა თქმა უნდა, მთლიანად გამოვრიცხოთ დროის უმიზნო ფლანგვა.

დროს უნდა ეუფრთხილდებოდეთ ყველგან — წარმოებაში, დაზგასთან, პლანტაციაში, სამეცნიერო ლაბორატორიაში, სამშენებლო მოედანზე. ყოველივე ეს საპირო და აუცილებელია, მაგრამ საკითხი უფრო ფართოდ უნდა დავაყენოთ. უფრო რაციონალურად უნდა ვეკიდებოდეთ მთლიანად საკუთარ ცხოვრებასაც. განსაკუთრებით უნდა ვეუფრთხილდებოდეთ დროს ახალგაზრდობაში, როცა ჯანიც მოგვდევს და არც ნიჭი და ენერგია გვაკლია.

ახალგაზრდ თაობის ახალგაზრდებს უფრო მეტად ეტყობათ რაციონალური აზროვნებისადმი მიდრეკილება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს რომანტიკა — წინა თაობათა საიმედო მამძრავებელი ძალა—წარსულს ჩაბარდა. ახალგაზრდობის რომანტიკული გული ისევ ისე ძაღუმაღ ძგერს: ბამი და ენგურჰესი, სამშენებლო რაზმები და აგიტბრიგადები, კომკავშირის შეფობა ხუთწლედის უდიდესი ობიექტებისადმი, სახალხო მეურნეობის მთელი დარგებისადმი, რაც პარტიამ დაიკალა კომკავშირს... ყველა თქვენგანს უსასრულოდ შეუძლია გაიგრძელოს მაგალითების ეს ნუსხა მშობლიური ქალაქების, სოფლების, რაიონების ცხოვრებიდან და ყაოდასტეროს, რომ რომანტიკას ყავლი არ გასვლია.

სხვა საქმეა, როცა ყველა ახალგაზრდას ჯერ ვერ უპოვია თავისი ადგილი ცხოვრებაში, თამობათა მწყობრში. აქედან გამომდინარობს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: ყურადღებით ძოვეკიდოთ თითოეულ კომკავშირელს, ორმაგი ყურადღებით კი იმათ, ვინც ჯერ არ ჩაბმულა მჩქეფარე კომკავშირული ცხოვრების ფერხულში. საჭიროა ნიადაგ ვეძებოთ ახალგაზრდებთან მუშაობის ახალახალი ფორმები, ფრთა შევასხათ მთა კონკრეტული, ამასთანავე მასშტაბური და პოლიტიკურად დიდმნიშვნელოვანი ამოცანებიო. ახლაგაზრდობას უნდა ვესაუბროთ სერიოზული კილოთი, პატივისცემით და პასუხისმგებლობის გრძნობით.

აქტიურობის მოწოდებები ხშირად გვესმის სხვადასხვა ფორუმის ტრიბუნებიდან. მაგრამ მოწოდება მხოლოდ მაშინაა ქმედითი, თუ კონკრეტულ ხორცშესხმას პოულობს ადგილზე, პირველადს ორგანიზაციაში. სანამ ყოველ ახალგაზრდას არ შეექმნება ისეთი კონკრეტული სიტუაცია, რომ მან თვითონ და კომკავშირული კომიტეტის დახმარებით დაიწყოს ძალთა გამოყენების ასპარეზის ძებნა, სანამ ყოველი მათგანის წინაშე არ დაისახება დამაჯერებელი პროფესიული, საზოგადოებრივი, ზოგჯერ კი ცხოვრებისეული პრესპექტივა, სანამ კომკავშირული მუშაკები არ ისწავლიან იმას, რომ ყოველ პასიურ ახალგაზრდაში ხედავდნენ არა ერთ მრავალთაგანს, არამედ განუმეორებელ ადამიანს თავისი ავკარგით, თავისი რიგი სულიერი სამყაროთი, — ჩვენ მხოლოდ გავაფორმებთ კომკავშირს, მის შეესძლებლობებსა და თვით მის დანიშნულებას. ადამიანი შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს, — ეს კარგი, ძლიერი ორგანიზაციის ყველაზე უტყუარი ნიშანია.

ადამიანი იმ დღიდან ყალიბდება, რა დღესაც დაიბადა, და კომკავშირს თავის აღმზრდელობითს მუშაობაში ერთი დღეც კი არ უნდა გამორჩეს. პიონერები და ოქტომბრელები ნამდვილი კომკავშირული მზრუნველობით უნდა იყვნენ გარემოსილი.

საგულისხმოა, რომ საშუალო სკოლის პირველ ოთხ-ხუთ კლასში ეგრეთ წოდებული „პასიური“ ბავშვები თითქმის არ არიან. ჩვეულებრივ, პასიურობა შეიმჩნევა ყმაწვილკაცობის ასაკის მიღწევისას, როცა ბავშვი 14-16 წლისა ხდება, ანუ იმ დროს, როცა პირველად ჩაუფიქრდება სერიოზულად ცხოვრების არსს. მაშასადამე, სკოლის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მეცადინეობის საერთო ჯაჭვში გარკვეულ ეტაპზე ამოვარდნილა რაღაც დიდმნიშვნელოვანი რგოლი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, რომლის მოღვიძეც არის სკოლა, კლასი, რაზმი, კომკავშირული ჯგუფი.

კომკავშირს შეუძლია გამოიყენოს და აქტიურადაც უნდა გამოიყენოს თავისი ძალები ამ პროცესში, წარმართოს მოზარდთა აზროვნება იმ მხრივ, რომ მათ სწორად განსაზღვრონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, აღზარდოს მაღალკულტურული, გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა მეშჩანური ცრურწმენა.

დღეს ჩვენს ახალგაზრდა თანამედროვეს — მუშას თუ მეცნიერს, პოეტს თუ მშენებელს — ვერ წარმოუდგენია თავისი პირადი ბედი იმ მეგობრობის, ძმობის, ინტერნაციონალიზმის შეგრძნების გარეშე, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება. ეს ბუნებრივი საარსებო გარემოა. უფრო მეტიც. ინტერნაციონალიზმი ჩვენში სულ უფრო მეტად ხდება თითოეული ადამიანის შეგნების ფაქტორი და ცხოვრებისეული პოზიცია, მისი ყოფაქცევის ნორმა და ზნეობის პრინციპი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხში ამით ხელმძღვანელობს, რომ ინტერნაციონალიზმი ყველა პიროვნებას ქმნის ერების აყვავება-განვითარებისათვის, ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად აახლოებს და აძმობილებს ხალხებს. ასეთია ჩვენი, მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკისადმი.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ ერთიან, მეგობრულ, ინტერნაციონალურ ოჯახად ცხოვრობენ ქართველები, რუსები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, თითქმის 80 ეროვნების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის კომკავშირის ყრილობა დღეს მიმდინარეობს როგორც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობის ძმობის ძლავრი დემონსტრაცია და ბრწყინვალე დღესასწაული. ამ დღესასწაულს ლაზათს მატებენ ჩვენი სტუმრები — მომძე აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების ამხანაგების ვ. ა. გუსეინოვისა და გ. ს. კოტანჯიანის მეთაურობით ჩამოსული დელეგაციები, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელი ახალგაზრდობის დელეგაცია.

ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა უსაზღვროდ ერთგულობენ ლენინურ მოძღვრებას ერებისა და ეროვნული ურთიერთობის შესახებ, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის შესახებ.

ვზრდით რა ადამიანებს ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ თითოეული ხალხის ეროვნულ გრძნობებს, კულტურას, თავისთავად ო ბ ა ს, პროგრესულ ეროვნულ ტრადიციებს.

როგორც ერთმა რუსმა პოეტმა, საქართველოს დიდმა მეგობარმა თქვა, ჩვენი ხალხების მეგობრობა მარტოოდენ ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების, რკინიგზებისა და კოსმოსური ხომალდების ერთობლივი მშენებლობა როდია. ჩვენი ხალხების მეგობრობა — ეს არის ერთობლივი მშენებლობა ახალი პიროვნების, იმ ადამიანის სულისა, რომლისთვისაც უცხოა ეროვნული შეზღუდულობა, და ამავე დროს თვალსაჩინოვით უფრთხილდება თავის პროგრესულ ეროვნულ თავისებურებებს, ეროვნული ტრადიციების სილამაზეს, დედაენის სილამაზეს.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ და ვშრომობთ საზოგადოებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი ლენინური პარტია, ბრძნულად რომ წყვეტს ადამიანთა ინტერნაციონალისტური აღზრდის ყველა საკითხს, ეროვნული ენების, ეროვნული ენების განვითარების საკითხებს, სადაც ვერც ერთი კაცი ვერ უგულებელყოფს სხვა ხალხების კულტურას, ღირსებას.

ყველა ეს მომენტი განსაკუთრებით გამიზნულად უნდა გავითვალისწინოთ ხოლმე უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის აღზრდაში.

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს 60 წელი უსრულდება. კომკავშირს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისადმი შეფობის სახელოვანი ტრადიციები აქვს, და ეს ტრადიციები ჩვენს რესპუბლიკაში მუდამ იწვევდა და იწვევს მხურვალე მხარდაჭერას. ექვი არ გვეპარება, რომ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის მისი მაღალი მზადყოფნა მუდამ იქნება საბჭოთა საქართველოს კომკავშირის უურადღების ცენტრში.

ჩვენ აქ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ახალი სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ ოლეგ თევდორეს ძე კულიშევის საინტერესო და შინაარსიანი გამოსვლა. ექვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საჰაერო ოლქი და რესპუბლიკის კომკავშირი შეძლებენ კიდევ უფრო ძაღალ დონეზე აიყვანონ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალისტური აღზრდა.

სამშობლოსადმი, პარტიისა და ხალხისადმი კომუნისტის, პატრიოტის, ინტერნაციონალისტის სამსახურის კლასიკური მაგალითია ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჭარბეცხლიან წლებში მცირეძიწყლთა და მათი ხაცადი პოლტაკური წინამძღოლის უმაგალითო გმირობა, ე ს ო დ ე ნ ამაღლებულად რომ აღწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოგონებაში „მცირე მიწა“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს შრომა მაგიდის წიგნი, ცხოვრების სახელმძღვანელო უნდა გახდეს თითოეული ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის.

ღრმად ვერ შეიყვარებ სამშობლოს, ახალი სამყაროს შეგნებული აღმშენებელი და დამცველი ვერ იქნები, თუ უსაზღვროდ, არ გაწყლ მისი მტრები. საბჭოთა ადამიანების უფროსმა თაობებმა ეს გრძნობა გამოიმუშავეს საკუთარი გამოცდილებით, სოციალიზმის გმირობა ომიანობის კლასიკური ბრძოლის ჭარცეცხლში, ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში. ჩვენს დღეკანდელ ახალგაზრდობას აკლია ასეთი წრთობა, ასეთი პრაქტიკული გამოცდილება. და შემთხვევითი რადა, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგიური დიეერსიები უწინარეს ყოვლისა გამიზნულია ახალგაზრდობისათვის, მისი ძლასობრივი შეგნების დაჩლუნგებისათვის, კომუნისტური იდეალებისადმი ურწმუნოების დათესვისათვის.

ბურჟუაზიული პროპაგანდა-კი ყველაზე ახალგაზრდა ასაკიანს, ვგულისხმობ ეროსტან ერთად, ყურიო ეროს მათი ბრძოლა ორგანიზებულ ... [illegible] ... ერთად, ყურიო ეროს მათი ბრძოლა ორგანიზებულ ... [illegible] ... თეორიებს.

მეორე პრინციპი ის არის, რომ დროზე შევამჩნიოთ და ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი კომკავშირელთა ინიციატივასა და აქტიურობას, მათს შემოქმედებითს შემართებას, მგზნებარებით ვეუბნოთ გული და ყოველივე ეს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებს მოვახმაროთ. არ უნდა დავივიწყოთ, რ